სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/52

ქ. თბილისი 25 დეკემბერი 2020

სტუ-ის მოიჯარეთა საიჯარო დავალიანებისგან გათავისუფლების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2020 წლის 24 დეკემბრის №0001227678 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 25 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, საიჯარო დავალიანებისგან გათავისუფლდნენ ქვემოთ მითითებული მოიჯარეები:
   1. ნათელა ცხვირავაშვილი – 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან საქმიანობის განახლებამდე;
   2. ნარგიზ ტოგონიძე – 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან საქმიანობის განახლებამდე;
   3. გოჩა დალაქიშვილი – 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან 1-ელ დეკემბრამდე;
   4. სტეფანე აბრამიანი – 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან 1-ელ დეკემბრამდე;
   5. თორნიკე ოქროპილაშვილი – 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან საქმიანობის განახლებამდე;
   6. შპს „პრომო პლუსი“ – 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან საქმიანობის განახლებამდე;
   7. ჯემალ მაზანაშვილი – 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან 1-ელ დეკემბრამდე.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**